საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 197 2017 წლის 13 აპრილი ქ. თბილისი

სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის რეორგანიზაციისა და სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრად გარდაქმნის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი რეორგანიზებულ იქნეს (გარდაიქმნას) სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრად.

მუხლი 2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელოს:

1. სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სახელმწიფო კონტროლი.

2. სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის - ხელმძღვანელის დანიშვნა.

მუხლი 3. სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი წარმოადგენს სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის უფლებამონაცვლეს ყველა სახის ურთიერთობებში.

მუხლი 4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2017 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამართლებრივი პროექტების მომზადებისათვის/მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება (მათ შორის, სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში კონკურსის წესით დანიშნულ თანამშრომელთა სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შესაბამის თანამდებობებზე უკონკურსოდ გადაყვანის/გადანიშვნის ღონისძიებების კოორდინაცია).

მუხლი 5. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №314 დადგენილება.

მუხლი 6. დადგენილება, გარდა პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. დადგენილების პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 მუხლები ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**